

საქართველოს პარლამენტს

საქართველოს პრეზიდენტს,

ბატონ გიორგი მარგველაშვილს

საქართველოს პრემიერ-მინისტრს,

ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს

**სსიპ - დანაშაულის პრევენციის და ინოვაციური პროგრამების ცენტრის წლიური ანგარიში  
გაცემული საჯარო ინფორმაციის შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად წარმოგიდგენთ საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებულ წლიურ ანგარიშს:

ა) 2012 წლის 10 დეკემბრიდან - 2013 წლის 10 დეკემბრის ჩათვლით სსიპ - დანაშაულის პრევენციის და ინოვაციური პროგრამების ცენტრში სულ შემოვიდა 11 (თერთმეტი) განცხადება საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით. არ დაფიქსირებულა არცერთი მოთხოვნა საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის ან უარყოფითი გადაწყვეტილების შესახებ.

ბ) 2013 წლის განმავლობაში სსიპ დანაშაულის პრევენციის და ინოვაციური პროგრამების ცენტრში შემოსული განცხადებებიდან საჯარო ინფორმაცია განმცხადებლის მოთხოვნის შესაბამისად გაიცა ყველა (თერთმეტივე) შემთხვევაში. საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის დაკმაყოფილების თაობაზე გადაწყვეტილება მიღებული იქნა სსიპ დანაშაულის პრევენციის და ინოვაციური პროგრამების ცენტრის საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის - ბექა ჭულუხაძის მიერ.

გ) 2013 წლის 10 დეკემბრის მდგომარეობით სსიპ დანაშაულის პრევენციის და ინოვაციური პროგრამების ცენტს არ აწარმოებს საჯარო მონაცემთა ბაზების შექმნას. რაც შეეხება პერსონალური მონაცემების გაცემას, აღნიშნული ფაქტი დღევანდელი მდგომარეობით არ ფიქსირდება.

დ) 2013 წლის 10 დეკემბრის მდგომარეობით სსიპ დანაშაულის პრევენციის და ინოვაციური პროგრამების ცენტრის საჯარო მოსამსახურეთა მიერ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა დარღვევისა და დისციპლინალური სახდელის დადების არცერთი შემთხვევა არ დაფიქსირებულა.

ე) სსიპ დანაშაულის პრევენციის და ინოვაციური პროგრამების ცენტრის მიერ ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან დაკავშირებით მიღებული არცერთი გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა.

პატივისცემით,

სსიპ „დანაშაულის პრევენციის და ინოვაციური ცენტრის“ დირექტორი

ჯონი კვინიკაძე

10.12.13